№ 108
ხუთშაბათი, 5 ივნისი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 108
ხუთშაბათი, 5 ივნისი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| [illegible] | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## კბილის ექიმი
## ვ. ი. ჭიჭინაძე
ნიკოლოოზის ქუჩა, 21 („ივერიის“ რედაქციის ქვეშ).

## სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა, და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფებს შიაგასინჯავენ ყოველ დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ბერაძე.**

დედათა ავადმყოფობას და საბებიოს მკურნალი **ი. ფ. ბაციევიჩი** (20 მაისს), და მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი-საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისა, ელექტრონით წამლობისა და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**
(10—6.—8)

## ახალი ამბავი

—

*** 2 ივნისს ქ. ტფილისის დედათა ინსტიტუტში აქტი იყო დანიშნული. აქტს დაესწრნენ კავკასიის მთავარმართებელი თავ. გოლიცინი, მისი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე და სხვანი წარჩინებულნი.

ამ წელს სწავლა დაამთავრეს ქართველთაგან სამმა ქალმა: ქ-მა ჯავახიშვილისამ, ელენე იასონის ასულმა იოსელიანისამა და ელენე კონსტანტინეს ასულმა ყარანგოზიშვილისამ.

*** ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგედ აგრონომის ტიმოფეევის ნაცვლად სამინიტროს დაუმტკიცებია ბ-ნი კრავჩენკო. როგორც შევიტყეთ, ეს განკარგულება სამეურნეო დეპარტამენტის წარდგენის თანახმად მომხდარა და ამისათვის გუშინ, 4 ივნისს, სამეურნეო საზოგადოებას სხდომა უნდა ჰქონოდა ამ საგნის შესახებ, დაემტკიცებინა თუ არა მინისტრის განკარგულება.

*** ქართული საერო ხორო, შემდგარი ალ. კავსაძის ლოტბარობით და ივანე მჭედლიშვილის გამგეობით განჯიდგან უკვე დაბრუნდა და ამ დღეებში აპირობს ქართლ-იმერეთისაკენ წასვლას.

*** როგორც შევიტყეთ, თავ. ნ. დიასამიძის მიერ გაზ. „ნოვ. ობოზ.“ რედაქტორის შეურაცხყოფის საქმე 9 ივნისისათვის არის დანიშნული ოლქის სასამართლოში განსახილველად.

*** ამ საზაფხულოდ კოჯორში პოლიციის ბოქაულად ქ. ტფილისის პოლიციის ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი მორგაევსკი იქმნა დანიშნული.

*** სომეხ-ნერსესიანთ სემინარიის სამზრუნველოს გარდაუწყვეტია, რომ იარმუკაზედ, სადაც მეთუნუქეების სახელოსნოებია, იმ ადგილას სხვა ახალი სახლი აავოს სხ. და სხ. გვარ სავაჭროსათვის. გარდა ამისა, გარდაუწყვეტია ნაწილი ამ ადგილისა ქალაქს დაუთმოს, რომ ქუჩა გაგანივრდეს.

*** ს. ტირძნისი. (გორის მაზრა). ჩვენი სოფელი ბედნიერია სხვათა შორის იმითიც, რომ აქ ერთს გოროში გაკოტრებულს ვაჭარს დუქანი აქვს გამართული, თუმცა ამ დუქნისა უფრო სახელია, ვიდრე სახრავი, რადგანაც შიგ არა ჰყრია-რა ორიოდე სპიჩკა-პაპიროზის, სამი-ოთხის გირვანქა შაქრის და ცოტა-ოდენის ნავთის მეტი, ისიც ხანდისხან. ამ დუქანში სხვათა შორის იყიდება ღვინო-არაყიც. ეს მათრობელა არის ის ძალა, რომელიც იზიდავს დუქნისაკენ ყოველგვარ დანარბევს—წალდს, ცულს, თოხს ქვაბს და სხ. სწორედ შესაზარი სანახავია დანარბევების ამ დუქნისაკენ წაღება და საცოდავის გაბღლენილის გლეხის ხვეწნა-ვედრება, ჩვენის სოფლის საუკეთესო ყვავილი—მედუქნე ერთს თავისებურს ხრიკსაცა ჰხმარობს ბეჩავის ხალხის ეკონომიურად წარმოსაქცევად. რადგანაც ორიოდე გროში მოეპოვება, ამ ფულებით ხერხიანად სარგებლობს. ის ჩასაფრებულია თავის პატარა დუქანში კარგს ყაჩაღსავით და როდესაც დაჰხედავს ხოლმე, რომ ეხლა ძალიან უჭირს გლეხს ფულიო, მაშინ ხსნის თავისს მოწყალე ქისას, რადგანაც აქაურს გლეხობას სული სა და სულადის მეტი აღარა გააჩნიათ-რა, ამიტომ ჩვენი მედუქნე გაჭირვებულებისაგან კოდს პურს სამ და ოთხ აბაზად იკვეთავს. ურიგო არ იქნება, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

—◆◆—

### ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წლიური კრება.

1 ივნისი

1 ივნისის სხდომაზედ კრებას მოხსენდა თხოვნა იმ თავად-აზნაურთა, რომელნიც სისხლის სამართალში არიან მიცემულნი და რომელნიც სთხოვენ კრებას შუამდგომლობა გაგვიწიეთ უმაღლეს მთავრობასთან, რათა სასჯელი შეგვიმსუბუქონო.

თავ. დ. ნ. მელიქიშვილი.—რამდენადაც ვიცი, საყოველთაო მოწერილობაა, რომელიც უკრძალავს თავად-აზნაურთა კრებას ასეთი შუამდგომლობის გაწევას.

კრებამ ხსენებული თხოვნების განხილვის უარი განაცხადა, მხოლოდ დაავალა გუბერნიის მარშალს, რომ მან შემდეგში გაუწიოს ხოლმე შუამდგომლობა თავისით თავად-აზნაურთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ღირსნი იქმნებიან.

შემდეგ კრებამ მოისმინა კახეთის რკინის გზის საქმე.

თავმჯდომარე. ამ ჟამად ეს საქმე ასეთს მდგომარეობაშია: გუბერნიის თავად-აზნაურთა უკანასკნელ საგანგებო კრების გადაწყვეტილებისამებრ, მე ვიშუამდგომლე მთავრობის წინაშე, რომ ხაზინამ იკისროს ამ რკინის გზის გაყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში რკინის გზის გაყვანის უფლება გადაეცეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა. როგორც ვუწყით გზათა სამინისტრომ უკვე გადასდო 35,000 მან. ხსენებულის გზის გამოსაკვლევად.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. კარგი იქმნება მთელი მსვლელობა ამ საქმისა დაწვრილებით მოხსენდეს კრებას.

წაკითხულ იქმნა ამ საქმის შესახებ გაგზავნილი თხოვნა უმაღლესს სახელობაზედ.

თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. მოსთხოვეთ თუ არა თავად-აზნაურთა წინანდელს მარშალს თავ. მაღალაშვილს ის გეგმანი და საბუთის ქაღალდები, რომელიც ამ რკინის გზის გაყვანის საქმეს შეეხება და თავად-აზნაურთა ხარჯით არიან შედგენილნი?

თავმჯდომარე. ეგ პლანები და საბუთის ქაღალდები არ მითხოვნია, რადგანაც მთავარ-მართებლისგან, რომელსაც ვთხოვე შუამდგომლობა გაეწია თავად-აზნაურობისთვის კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმეში, შევიტყე, რომ ამ გზის გაყვანას ხაზინა აპირებსო და თავად-აზნაურობას არ მიეცემა ეგ უფლებაო. მაშასადამე, ყველა ეს ქაღალდები ჩვენთვის საჭირო აღარ არის.

თავ ი. გ. ამილახვარი. კერძო ლაპარაკის დროს გადმომცა მთავარ-მართებელმა, რომ ამ გზის გაყვანის უფლება თავად-აზნაურობას არ მიეცემა, რადგანაც თვით ხაზინა აპირებს გზის გაყვანას, ხოლო როდის, არავინ იცის. მთავრობა მოხარული იქმნება, თუ თავად აზნაურობა ისეთს ფულიან კაცს მოსძებნის, რომელსაც შეეძლება კახეთის გზის გაყვანა, მე ჩემის მხრივ ასეთს საქმეს დახმარებას გავუწევო.

თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. გზათა მინისტრმა თავ. ხილკოვმა მითხრა,

## ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

აკი გითხარ, ჩემო ცოლო,
რაც ვთქვა—ნურვის შეასმენო,
თორემ რაწამს გაიგებენ,
იმ წამს ჩამომარჩობენო;
მარჩობენ და ეხლა სტირი?!
ფუ! თავს ლაფნი დაგესხნენო,
ვინც დედაკაცს-ღა მიენდოს
გულს ლახვარნი დაესვნენო!

დ. მაჩხანელი

—◆◆—

### „ალისფერი სიკვდილი“.

მოთხრობა ვ. ლ. ოლდენისა

(დასასრული *)

საწინააღმდეგო აღარა მითქვამსრა. განმაცვიფრა და თავს ზარი დამცა ამ კაცის საშინელმა და მართლაც დიადმა გეგმამ. ახლა სრულიად დავრწმუნდი, რომ ყოველივე, რაცკი მითხრა, მართალი იყო: დავრწმუნდი, მაგრამ იმავ დროს სიტყვა მივეცი, არავისთვის გამემჟღავნებინა და საიდუმლოდ შემენახა, ვიდრე იგი ამ წყეულს პროექტს გაამართლებდა, შეასრულებდა!

— არა მსურს, რომ ეს ჩემი დიდებული საბრძოლი იარაღი ბრიყვთა და უვიცთა ხელში ჩავარდესო, განაგრძო კვალად პროფესსორმა. ამისათვის, თუ რომ ისე მოვკვდები, რომ ვერ შევასრულებ ჩემს განზრახვას, გთხოვთ დამეხმაროთ და ეს მომაკვდინებელ სენთა მიკრობებით სავსე მინები მაშინვე მოსპოთ. გუშინ, მაგალითად, სრულიად დავრწმუნდი, რომ სიკვდილს ყოველს წამს უნდა ველოდდე; ამის თავდებია ჩემი ღრმად ცოდნა სამკურნალო მეცნიერებისა და მჯერა, რომ არა ვტყუი. თუ რომ დროზედ ვიგრძნობ, რომ სიკვდილს თავს ველარ დავაღწევ, იცოდეთ, სახლს ცეცხლს მივცემ და როდესაც ამ ჩემს თავსაფარს ალი დაჰბუგავს, ტყუილად ნუ ეცდებით ჩაქრობას, დაიღუპებით. მაგრამ ვიცი, დრო არ მექმნება. ამისათვის გთხოვთ იკისროთ და ეს უკანასკნელი დავალება შემისრულოთ.

— დიდი ხანია, რაც ეგ „ალისფერი სიკვდილი“ გამოიგონეთ?—დავეკითხე.

— ორი წელიწადია.

— მერე, რატომ არ შეასრულეთ თქვენი განზრახვა და რაღას უცდიდით?

სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ პროფესსორი შვარცი არც იმდენად გულქვა და შეუბრალებელი იყო, როგორც გარემოება ამხელდა.

— ზღვის გოჭებისა და თქვენი ძაღლის მეტი ჩემს სენს არავინ უმსხვერპლია,—მიპასუხა პროფესსორმა. თქვენს ძაღლსაც არა დაუშავდებოდარა, რომ მიწა არ ეთხარა იმ ადგილას.

— მაინც რა იყო მიზეზი, რომ ამ ორის წლის განმავლობაში თქვენი აზრი არ შეასრულეთ და ევროპის მცხოვრებთა რიცხვი არ გაანახევრეთ?

— რა-და, ისა, ჩემო მეგობარო, რომ არც ისე ძალოვანი ვარ თურმე, როგორც მეგონა. მართალი რომ გითხრა, გამბედაობა არა მქონდა აზრი საქმედ მექცია. ამ შემთხვევაში მე იმ ექიმს დავემზგავსე, რომელსაც სუსტი ნერვები ნებას არ აძლევენ ავადმყოფს ოპერაცია გაუწიოს, თუმცა დიდად დარწმუნებულია, რომ უკანასკნელი ხსნა და შველა მხოლოდ აქ არის. მაგრამ ახლა-კი აღარ დავაგვიანებ. ჩემი დღეები აგერ დათვლილია და, მეორეც, რაკი გამოგიტყდით და საიდუმლო გაგიმჟღავნეთ, იგი დაფარულად აღარ უნდა ჩაითვალოს. მართალია, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს სიტყვას აასრულებთ და მეგობრობას არ უღალატებთ, მაგრამ რა-კი ჩემი საიდუმლო ერთმა იცის, ვითომ ყველასა სცოდნია; ეს ხომ ასეა! ვეცდები, გამბედაობა და ძალა შემოვიკრიბო; მომავალს კვირას ჩვეულებრივ კარგად ვიქნები და იცოდეთ, შევუდგები კიდეც ქვეყნიერების სიღატაკისაგან განთავისუფლების საქმეს. ახლა-კი გთხოვთ თავი დამანებოთ, ცოტა უნდა დავიძინო, რომ დაღალული ნერვები დავასვენო. მართლა, შემოსავალს დერეფანში კარის გასაღები ჰკიდია ლურსმანზედ, ჩამოიღეთ და თან წაიღეთ, რომ, თუ ვინიცობაა, დაგჭირდეთ, ძებნა არ მოგინდეთ.

საშინლად შეწუხებული და დაფიქრებული დავბრუნდი სახლში. ახლა ნატამალი ეჭვიც-კი აღარა მქონდა, რომ ყოველივე, რაც პროფესსორმა სთქვა, მართალი იყო. მართალია, საღის გონების პატრონი ადამიანი ამ აზრს ვერ აღიარებდა, რომ ქვეყნიერობის საბედნიეროდ მილიონი ხალხი უნდა გავწყვიტოთო, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემის ძაღლის ამბავი ნათლად ამტკიცებდა, რომ პროფესსორი შვარცი არა სცდებოდა და მის მიერ გამოგონილ გადამდებ სენთ მართლა შეეძლოთ კაცობრიობა გაენახევრებინათ. მე უკვე სიტყვა მივეცი საიდუმლო არავისათვის გამეცა. სიტყვა მივეცი, მაგრამ ამით ხომ მეც წილი დავიდე და მოზიარე გავხდი მისის ბოროტის განზრახვისა. მაშ რაღა მექნა? გამეცა ადამიანი, რომელიც მომენდო და რომელსაც ამისათვის საგიჟეთში უკრავდნენ თავს, ან სარჩობელა არ ასცდებოდა? არც ეს შემეძლო, რადგანაც ამითი ჩემს სიტყვას გავტეხდი და სინიდისი შემაწუხებდა. ერთის სიტყვით, საშველი არსაიდგან მიჩანდა და საშინლად ვიტანჯებოდი მთელს ღამეს, თითქოს თვითონ მე ვყოფილიყავ ამ ბოროტგანზრახვის ჩამდენი. მეშინოდა, თითქოს აგერაა ხვალ დილით მეც სარჩობელას მაჩვენებდნენ.

---

*) იხ. „ივერია“ № 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თავად-აზნაურობას ვერ მივცემთ რკინის გზის გაყვანის ნებას, ხოლო თუ კერძო ამხანაგობა გამოჩნდა და იკისრა ეს საქმე, დიდის სიამოვნებით დავრთავთ ნებასაო.

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი. ეს ლაპარაკი რკინის გზის შესახებ განგებ არის ატეხილი, რომ გავლენა იქონიონ არჩევანებზედაო.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმისათვის თავად-აზნაურობამ 15,000 მან. ხარჯი გასწია და თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი-კი ამბობს, რომ საჭირო არ არის მოვითხოვოთ ყველა ის საბუთები, რაც ამ საქმეს შეეხებაო. ეს საბუთები თავად-აზნაურობის საკუთრებაა და, საკვირველია, რად უნდა იყოს კერძო კაცების ხელში. იგი ჰბრძანებს, რომ მოუხერხებელია ეს საბუთები მოვსთხოვოთ წინანდელს თავად-აზნაურთა წინამძღოლსაო. ჩემის აზრით-კი, ყველა ვალდებულია თავისის მოქმედების ანგარიში წარადგინოს ხოლმე და საწყენი და მოუხერხებელი აქ არაფერი უნდა იყოს. შემდეგ თავ. ჭავჭავაძემ მიაქცია საზოგადოების ყურადღება იმ გარემოებას, რომ 28 ივნის 1896 წ. მომხდარ თავად-აზნაურთა საგანგებო კრების დადგენილება კახეთის რკინის გზის შესახებ თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა არ იცნო კანონიერად, რადგან იგი გადაწყვეტილია მცირე რიცხოვან კრების მიერ იმ წინაკრებასთან შედარებით, რომლის დადგენილებათაც ეს ახალი დადგენილებანი ეწინააღმდეგებაო. ამისდა მიუხედავად, მან მოიწვია საგანგებო კრება, რომელზედაც 26 ხმის უმეტესობით შეცვლილ იქმნა დადგენილებანი წინა საგანგებო კრებისა, თუმცა ამ კრებას უფრო ნაკლები რიცხვი წევრთა დაესწრო. ეს დადგენილებანი-კი თ. მუხრან-ბატონმა კანონიერად იცნო. ამ რიგად გამოდის, რომ რამდენისამე ხმის უმეტესობით დადგენილი გადაწყვეტილებანი როცა სურთ, მაშინ კანონიერია, როცა არა და—უკანონოა. გარდა ამისა აქ ითქვა, რომ თუ გამოჩნდა კერძო ფულიანი კაცი, იმას მიეცემა რკინის გზის გაყვანის უფლებაო, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ხომ თვით იმას დასჭირდება ყველა ის საბუთები, რომელნიც ეხლა სხვათა ხელშია. ეს საბუთები უეჭველად უნდა მოვითხოვოთ.

ი. ს. ჯაბადარი. საბუთები დაკარგული არ არის: ერთი ვრცელი ეგზემპლიარი თავ. მაღალაშვილმა გზათა სამინისტროს წარუდგინა და ერთიც მოკლედ შედგენილი ა. ა. რადციგს გადასცა, რომელიც ამ ჟამად სამინისტროში ჰმსახურებს, მაშასადამე, ყველა ის საბუთები, რომლებზედაც აქ ლაპარაკია, სამინისტროსა აქვს.

თავ. კ. ი. მუხრან ბატონი. ეს საბუთები სამინისტროში უფრო კარგად შეინახება, ვიდრე დეპუტატთა საკრებულოში.

თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. დეპუტატის საკრებულოში არამც თუ საბუთები არ მოიპოვება, არამედ იმ კომისიის ოქმებიც-კი არ არის, რომელსაც კახეთის რკინის გზის გამოკვლევის საქმე ჰქონდა მინდობილი.

დეპუტატის საკრებულოს მდივანი. არც საბუთები, არც ოქმები დეპუტატთა საკრებულოს არავისგან არ მიუღია.

თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილი. ჩემთან ერთხელ მოვიდა ერთი ფრანგი ინჟინერი, რომელსაც ამ გზის გეგმები და საბუთები ჰქონდა, თუმცა-კი ვერ გავიგე ვისგან მიელო.

შემდეგ კრებას მოხსენდა ერობის შემოღების საქმე ტფილისის გუბერნიაში.

გუბერნიის თავად-აზნაურთა წარსულმაკრებამ მიანდო თავ. გ. მ. თუმანიშვილს შეედგინა მოხსენება ერობის შემოღების შესახებ ტფილისის გუბერნიაში და წარედგინა განსახილველად კომისიისათვის, რომელიც მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლების და დეპუტატებისაგან შესდგებოდა. ამ კომისიამ 27 მაისს თავისის მხრივ გარდაწყვიტა თურმე, რომ ყოველს მაზრაში ცალკე კომისია იქმნას ამორჩეული და იმათ მიენდოს ამ პროექტის განხილვაო.

თავ. გ. მ. თუმანიშვილი. ერობის შემოღების საქმეს ჩვენში თავისი ისტორია აქვს. პირველად ეს საგანი 1871 წელს იქმნა აღძრული, როდესაც ჩვენ ქვეყანას ეწვია იმპერატორი ალექსანდრე მე-II, თავად-აზნაურობის მიერ იქმნა არჩეული კომისია, მაგრამ ამ კომისიამ სხვა საქმეს უფრო მიჰყო ხელი და ერობის შემოღების საქმეს ყურადღება არც კი მიაქცია. შემდეგ 1882 წელს ხელ-ახლად იქმნა აღძრული ეს საგანი. აარჩიეს კიდევ კომისია, მაგრამ არც ამან გააკეთა რამ. თავად-აზნაურობა იმ დროს ერობის სასარგებლოდ არაფერს იხდიდა და ეს გარემოებაც ცოტა არ იყოს ხელს უშლიდა ერობის შემოღების საქმეს ჩვენში, რადგანაც ბევრს ახალის ხარჯისა ეშინოდა. მას შემდეგ გარემოება შეიცვალა. მთავრობამ 1890 წელს გამოსცა ახალი დებულება და თავად-აზნაურთა მიწებს გარდასახადი დაადო. ამ გარემოებამ და აგრეთვე იმ მოსაზრებამ, რომ უერობოდ ჩვენის ქვეყნის თავად-აზნაურთა ზრდა-წარმატება თითქმის შეუძლებელია, მაიძულეს ხელ-ახლად აღმეძრა 1894 წ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზედ ერობის შემოღების საქმე. ჩვენში, თავად-აზნაურობის გარდა, ყველა წოდებას თვით-მართველობა აქვთ მინიჭებული. გლეხ-კაცებს თავიანთ სოფლის სამმართველო აქვთ, ქალაქებს—ქალაქის თვით-მმართველობა, მხოლოდ თავად-აზნაურობაა მოკლებული ასეთს უფლებას. თავად-აზნაურთა კრებამ მომანდო მე შემედგინა მოხსენება ერობის შესახებ. მეც შევადგინე იგი $1^1/_2$ წლის წინად და წარუდგინე გუბერნიის მარშალს. ჩემი მოხსენება კომისიას გარდაეცა განსახილველად, რომელსაც დაწვრილებით არ გაუსინჯავს იგი, მან დაადგინა მხოლოდ—სამაზრო კომისიებს გარდაეცესო. მაგრამ ამავე კომისიის ზოგიერთი წევრები წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენში ერობის შემოღებისა. იმათის აზრით, ჩვენი ქვეყანა იმდენად მომზადებული არ არის, რომ ასეთის მძიმე საქმის გაძღოლა შეეძლოსო. მაგრამ ეს მართალი არ არის. რუსეთის გუბერნიები, როდესაც ერობა შემოიღეს, ჩვენზედ მომზადებულნი არ იყვნენ, მაგრამ შემდეგმა დაამტკიცა, რომ ხალხი გაუძლვა კიდეც ამ საქმეს და სარგებლობაც ბევრი მოიტანა.

ხალხი გაუნათლებელიაო, ბევრი ამბობს. სწორედ იმიტომ უნდა შემოვიღოთ ერობა, რომ სწავლა-განათლება გავრცელდებოდეს ხალხში, დაარსდეს რაც შეიძლება მეტი სასწავლებელი, რომ ყველას შეეძლოს სწავლა. ბევრს კიდევ გარდასახადისა ეშინიან, მაგრამ გარდასახადი თუ კარგად და წესიერად არის განაწილებული, ხალხს მეტს სარგებლობას მოუტანს. თუ ერობათა დაწესებულებანი იმავე გზას დაადგნენ ჩვენში, რა გზასაც რუსეთის შიდა გუბერნიები ადგანან, მაშინ, ეჭვი არ არის, ბევრი საკეთილო და სასარგებლო საქმე გაკეთდება. გაყვანილ იქმნება გზები, რომლის წყალობითაც სოფლის ნაწარმოებს ბაზარი გაეხსნება, დაარსდება საავადმყოფოები და მრავალი სხვა. ამას გარდა, ერობის შემოღებით, ეჭვი არ არის, შემოსავალი ერთი ორად იმატებს, ვიდრე ეხლა. ამ ჟამად სახელმწიფო და საუფლისწულო მამულებს არავითარი გარდასახადი არა ჰხდებათ ერობის სასარგებლოდ, თუმცა კანონით კი ვალდებულნი არიან გადაიხადონ; ერობა რომ იყოს ჩვენში ამ მამულებსაც დაედებათ გადასახადი და, მაშასადამე, შემოსავალი იმატებს. ე᾽ობის შემოსავალს ეხლა ადმინისტრაცია განაგებს, მაშინ კი ისეთის კაცების ხელში იქმნება ეს საქმე, რომელთაც კარგად იციან ჩვენის სოფლის და თავად-აზნაურობის საჭიროებანი.

ჩვენ გადამხდელნი იმავე დროს გამგენი ვიქნებით ფულისა და როგორც ჩვენ გვესურვება, ისე მოვიხმარებთ. აი, ეს არის საერობო თვით-მართველობის აზრი და მე მგონია ყველასთვის სასურველია იგი შემოღებულ იქმნას ჩვენში. (ტაშის ცემა)

თავ. გ. ი. ორბელიანი. ერობა თავის და თავად, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ სრულებით არა ვართ მაგისთვის მომზადებულნი. ერობის დაწესებულებათა შენახვა ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდება. ყოველგვარი გადასახადი მამულს დააწვება, რადგან ჩვენში ფაბრიკები და ქარხნები არ არის, როგორც რუსეთის გუბერნიებშია. ამბობენ, რომ ჩვენგან იქმნება დამოკიდებული ამა თუ იმ გადასახადის მიღებაო, მაგრამ ეს აზრი შემცდარია: გადასახადი ყველას გაეწერება და, მაშასადამე, ყველა ვალდებული იქმნება გადაიხადოს იგი. გარდა ამისა, ჩვენ გუბერნიაში სხვა-და-სხვა ეროვნის ხალხი სცხოვრობს და ძნელი იქმნება ყველას ერთნაირად დაკმაყოფილება.

თავ. გ. მ. თუმანიშვილი. პირველად ერობას იმდენი ხარჯი არ დასჭირდება, როგორც ეს თავ. ორბელიანს ჰგონია. ფაბრიკებს და ქარხანებს რუსეთში მარტო შენობების გარდასახადი ერთმევათ და, მაშასადამე, აქედგან ბევრი არაფერი შემოსავალი აქვთ. მიწას გარდასახადი მოემატებაო, ამბობს თავ. ორბელიანი. გადასახადი მიწას დღითი-დღე ემატება, ასე რომ ერობა აქ არაფერს შუაშია. რაიცა შეეხება სხვა-და-სხვა ეროვნების ხალხს, ეს იმდენად დამაბრკოლებელი არ არის, რამდენადაც თავ. ორბელიანსა ჰგონია. უმეტესად ტფილისის გუბერნიაში ქართველები სცხოვრობენ. თუ ხმოსნებს რუსული არ ეცოდინებათ, კანონი არ დაუშლის სხვა ენაზედ ლაპარაკს. ზოგი იმასაც ამბობს, რომ ჩვენის თვით მართველობით სხვები ისარგებლ᾽ებენო და ჩვენ ცარიელზედ დავრჩებითო. მაგრამ ეს მოსაზრება უსაფუძლოა. მაშინ ხომ ჩვენ ადგილ-მამულებზედაც უარი უნდა განვაცხადოთ, რადგან შესაძლებელია სხვებმა ისარგებლონ. საერობო თვით-მართველობა ისეთი ძვირფასი რამ არის, რომ არავის უნდა დავუთმოთ იგი—არც სოფლის წურბელებსა და არც სხვა-და-სხვა „კანცელიარისტებს“. (ტაშის ცემა.)

თავ. დ. ზ. მელიქიშვილი. ერობის შემოღება ჩვენში მარტო თავად-აზნაურობას არ შეეხება. ეგ ტფილისის გუბერნიის მცხოვრებელთა საე-

---

მთელი ღამე და მეორე დღეს დილა ამგვარს ფიქრებში გავატარე; თან ვფიქრობდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავ, თუ გარემოება ისე მოეწყობოდა, რომ საქმეში ჩარევა უთუოდ საჭირო გახდებოდა. შუადღე იქნებოდა. მეზობლის სახლში სიცოცხლის ნიშანიც-კი არ მოჩანდა. ავიღე გასაღები, გავაღე კარები და პირდაპირ პროფესსორის საძილო ოთახისაკენ გავწიე. იგი ტახტზედ იწვა, მთლად საბანში გახვეული. შევედი თუ არა, დაველაპარაკე, მაგრამ ხმა არ გამცა. მივედი, შუბლზედ ხელი დავადე. საბრალო მთლად გაციებულიყო, დაკრუნჩხულიყო. ალბად დაწვა თუ არა, მაშინვე სული განუტევა. ერთს წამსაც აღარ მიცდია, მაშინვე ლაბორატორიას მივაშურე. ავიღე სადეზინფექციო სითხით სავსე თუნუქის კასრა, რომელიც პროფესსორმა შვარცმა მიჩვენა, ჩამოვიღე ყველა მინები და ფრთხილად ჩავყარე თუნუქის კასრში, რომელშიაც სადეზინფექციო სითხე იდგა და მერე მარმარილოს ფილთაქვით ჩავამტვრიე შიგ. გავათავე-რა ეს საფრთხილო საქმე, ვედრო იქვე ბაღში გავიტანე და ღრმად ჩავმარხე მიწაში. ახლა კი შეიძლებოდა ბიჭი გამეგზავნა და, ვისთვისაც ჯერ იყო, შემეტყობინებინა პროფესსორის სიკვდილი, მაგრამ ერთი რამ დამავიწყდა: მინა, რომელშიაც „ალისფერის სიკვდილის“ მიკრობები იყო, თავისს ადგილას აღარ აღმოჩნდა და ვერსად ვიპოვე, თუმცა თითქმის მთელი სახლი გადავაბრუნე. უიმისოდ ხომ მოსალოდნელი უბედურება ისევ კარებზედ გვადგა! ეჭვი არ არის, ამ მინას პოლიცია იპოვნის, როდესაც სახლის გასასინჯადა და ქონების ასაწერად მოვა; შემთხვევით, ან განგებ ერთ-ერთი მათგანი უთუოდ გასტეხს და შვარცის მიერ აღთქმული საზარელი უბედურება ქალაქს მოედება-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის და გაფაციცებით დავეძებდი ამ წყეულს მინას.

ყველა ოთახი დავიარე, ყველა კუნჭული დავძებნე, მთელი სახლი გადავაბრუნე, მაგრამ არ იქნა, ვერ ვიპოვნე. ბოლოს ვიფიქრე, უთუოდ თვითონ პროფესსორმა თუ გასტეხა და მიმალა სადმე-მეთქი სიკვდილის წინად და დავმშვიდდი. ამ ფიქრში ვიყავი, რომ მიცვალებულის საწოლს მივუახლოვდი, საბანი გავუსწორე და აგერ ის წყეული „ალისფერი სიკვდილიც“ ვიპოვნე. საზარელის მიკრობებით სავსე მინა პროფესსორს მაგრად დაებღუჭა ხელში და სული ისე დაელია!

მინდოდა ჯერ გამომერთმია როგორმე მიცვალებულისათვის ხელიდამ ეს მინა, ვეცადე კიდეც ერთი ორჯერ, მაგრამ მერე თავი დავანებე, რომ ხელში არ გასტეხოდა. მოვიხმე ჩემი ბიჭი და ვუთხარ ქალაქის ექიმისათვის დაეძახნა, იქიდამ კიდევ პოლიციაში შეევლო და გამოეცხადებინა. ბიჭი წავიდა; მე-კი ისევ მიცვალებულთან დავრჩი და ცდა დავუწყე.

ექიმი მალე მოვიდა და, როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ შეგნებული იყო. ყველაფერი ვუამბე, რაც-კი პროფესორმა გადმომცა, დავუმალე მხოლოდ ის, თუ რა აზრით იკვლევდა იგი ამ მიკრობებს და ქვეყნიერობას რა უბედურებას უმზადებდა. ექიმმა ყოველივე გულმოდგინედ მოისმინა, ნატამალი ეჭვიც-კი არ აღძვრია იმის შესახებ, რაც ვუამბე, და შევატყე—ნაამბობმა მიცვალებული მოძმე თითქოს შეაყვარა, თან დასძინა: მართალია, საშიშია ახლა ამ მინის გამორთმევაო; ხოლო თუ მიცვალებულს გაჰრა დასჭირდება, ვეცდები მაინც მინას ხელი არ ახლონო. როგორც შევატყე, ეშინოდა მიცვალებულს არ მიჰკარებოდა, ვაი თუ ამ მის მიერვე გამოკვლეულ მიკრობებით იყოს მკვდარიო. მაგრამ მერე დარწმუნდა, რომ გულის ავადმყოფობით მომკვდარაო, და დამპირდა, ყოველს ღონისძიებას ვიხმარ, რომ მიცვალებული არ გასჭრანო.

პროფესსორი შვარცი მეორე დღეს დავასაფლავეთ; მასთან ერთად დაიმარხა ის საზარელი „ალისფერი სიკვდილიც“. როგორც იყო, პოლიცია დავარწმუნეთ, რომ ხელში ნაფურთხი წყალი აქვს-მეთქი, და მინა ხელუხლებელი დარჩა. დავასაფლავეთ თუ არა შვარცი, მეც მაშინვე შევკარი ჩემი ბარგი-ბარხანა და გავემგზავრე. მას შემდეგ ამ ქალაქში ჩემი ფეხი აღარ ყოფილა და სწორედ რომ ვთქვა, არც სურვილი მქონია.

ინგლისისკენ რომ დავბრუნდი, გზაზედ ერთი ჩემი ნაცნობი, გამოჩენილი ბაქტერიოლოგი შემხვდა ბერლინში და ვკითხე,—თუ რამდენხანს შეუძლიანთ მიკრობებს სიცოცხლე სასაზრდოვო სითხეში რომ იყვნენ-მეთქი.—„რამდენადაც გამოკვლეულია დღემდის, სამუდამოდაო“,—მიპასუხა. ამ პასუხმა მთლად გადამრია. იქ, პროფესსორის შვარცის სამარეში, სულ ექვსის ფუტის სიღრმეზედ, „ალისფერი სიკვდილია“ დამარხული და უცდის იმ დღეს, როდესაც ეს სასაფლაო სხვებისავით შენობებით მოიფინება. მაშინ იმ საზარელს მინას ბარის პირით ამოაგდებენ, გასტეხენ და ამ რიგად „ალისფერი სიკვდილი“ მთელს ევროპას მუსრს გაავლებს. ადრე თუ გვიან, ეს უთუოდ ასე იქნება. ხან-და-ხან ამასაც-კი ვფიქრობდი ხოლმე, რომ შვარცის საფლავი ამომეთხარა, მეპოვნა ეს წყეული მინა და მომესპო, მაგრამ ვაი რომ შეუძლებელია: დღემდის ხომ მინა უკვე გატყდებოდა და ამით მოსალოდნელს უბედურებას მთელს ქვეყანას მოვუსწრაფებდი. აი, სწორედ ამისი მეშინიან. ახლა მხოლოდ ერთი იმედი-ღა მაქვს: იქნება ერთს დროს მიწის ძვრამ ისე ღრმად შთანთქას დედა-მიწის გულში შვარცის საფლავი, რომ ველარც ბარმა და ველარც წერაქვმა ვერ უწიოს ჩემის შეშლილის მეგობრის სამარეს?!.

ინ-ანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთო საგანია. მე ვეთანხმები დეპუტატთა საკრებულოს, რომ ეს საგანი კომისიას უნდა გადავცეს განსახილველად, მხოლოდ ერთს—საგუბერნიო კომისიას-კი.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. მაგ საგნის გარჩევა არც ისე ძნელია, რომ ცალკე კომისიას გადავცეთ. მაგის გამორკვევა აქაც შეიძლება. ჩვენ გვირჩევენ ჩვენისავე ფულის გამგებელნი ვიყვნეთ. ჩვენ ერობის კასსას ამ ჟამად 600,000 მანეთს ვაძლევთ და რატომ ჩვენ თვითონ არ უნდა ვხმარობდეთ და განვაგებდეთ ამ ფულს, როგორც ჩვენს საჭიროებას შეეფერება. (ტაშის ცემა გაისმის)

თავჯდომარე ჩემის აზრით, ეს საგანი კომისიას უნდა გარდაეცეს და ვადა დაენიშნოს ამა წლის ოქტომბერი. შემდეგ მოწვეული იქმნება საგანგებო კრება, რომელიც გადასწყვეტავს ამ საქმეს.

მეორე დღეს, ე. ი. 2 ივნისს., მოხდა მაზრების წინამძღოლთა, ამათ კანდიდატების და დებუტატების ამორჩევა, ხოლო გუშინ-წინ, 3 ივნისს, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იქმნა ამორჩეული. ამორჩეულთა სია ჩვენ უკვე გვქონდა დაბეჭდილი გუშინდელს ნომერში, ის ცნობა უნდა შევავსოთ მხოლოდ იმითი, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის კანდიდატის თანამდებობაზე არჩეულ იქმნა ი. დ. სულხანიშვილი.

---

## „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის" საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

1 ივნისი.

კრება დაიწყო საღამოს 8 საათზედ საზოგადოების თავჯდომარის ამხანაგის ნ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით. პირველად თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საზოგადოების კრება თავდაპირველად დანიშნული იყო 16 მაისისათვის, მაგრამ რადგან მაშინ არ გამოცხადდა წევრთა საკმაო რიცხვი (50), ამიტომ არ შესდგა და ხელ-მეორედ იქმნა დანიშნული სადღეისოდაო. წესდებით მეორედ დანიშნული კრება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნებაო და ამიტომ ვაცხადებ კრების სხდომას გახსნილადო. ვიდრე საქმეების განხილვას შევუდგებოდეთო, განაგრძო თავჯდომარემ, საჭიროდ ვთვლი მოვახსენო კრებას, რომ ამ ცოტა ხანში ჩვენს საზოგადოებას დააკლდა დამფუძნებელი წევრი თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძე, რომელსაც დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული საზოგადოების წესდების დამტკიცებაშიო. ვთხოვთ კრებას მის ხსოვნის პატივსაცემლად ფეხზედ წამოდგესო.

კრებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა განსვენებულის ხსენებას.

კრებამ ასევე სცა პატივი აგრეთვე ამ ცოტა ხანში გარდაცვალებულს საზოგადოების დამფუძნებელს წევრებს—თ. გიორგი ციციშვილს და ალექსანდრე ივანეს ძეს მუსხელაშვილს.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა წარსულის წლის საზოგადო კრების ოქმი, რომელიც შეუცვლელად დაამტკიცა კრებამ. მას უკან თავმჯდომარემ სთხოვა კრებას, ხომ არ ინებებდა იგი წაკითხულიყო წლიური ანგარიში, რომელიც წინადვე დარიგებული ჰქონდათ წევრებს. კრებამ საჭიროდ არ ჩასთვალა მთელი ანგარიშის წაკითხვა და მხოლოდ ზოგიერთი ადგილები იქნა წაკითხული ამა თუ იმ წევრის სურვილით. წაკითხულ იქმნა შემდეგ მოხსენება სარევიზიო კომისიისა გამგეობის ანგარიშის შესახებ. სარევიზიო კომისიის სიტყვით, გამგეობის ანგარიში სწორედ და უნაკლულოდ ყოფილა შემდგარი.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა კრების წევრთ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ანგარიშის შესახებ, ვისაც რა სურდა.

გ. აბაშიძე. საწევრო ფული ძალიან მცირე შემოსულა. საჭიროა გამგეობამ მიიღოს ზომები, რომ საწევრო ფული შემოდიოდეს ბლომად. წევრები ხუთასამდეა და საწევრო ფული-კი სულ 36 წევრს შემოუტანია.

ქ. მამაცაშვილი. საწევრო ფულის შემოტანის გასაადვილებლად კარგი იქნება წევრებს უფლება ჰქონდეთ შემოიტანონ ეს ფული ნაწილ-ნაწილ თვიურად.

ალ. ჭყონია. ჩემის აზრით, კარგი იქნება, რომ ყველა წევრს, რაც დღემდე ფული შემოუტანია, ჩაეთვალოს ერთიანის საწევრო ფულის ანგარიშში, ხოლო დანარჩენი კი გადაიხადოს ერთბაშად.

კრებამ დაადგინა დაევალოს გამგეობას, რომ შეიმუშაოს წესები საწევრო ფულის ადვილად და დაუბრკოლებლად შეგროვებისათვის. სხვათა შორის კრებამ აღნიშნა, როგორც საწევრო ფულის ადვილად შეგროვების საშუალება, აგენტებად დანიშვნა საქართველოს ყველა კუთხეში საზოგადო საქმისთვის თავ-გამოდებულისა და გულშემატკივარის კაცებისა.

გ. აბაშიძე. როგორც ანგარიშიდგან სჩანს, გამგეობას წარსულის წლის განმავლობაში გამოუცია სულ ორი სახელმძღვანელო და ერთი თუ ორი პატარა წიგნაკი. ჩემის აზრით, გამგეობას უფრო შეეფერებოდა, რომ ძველის მწერლობის ნაწარმოებნი გამოეცა.

ალ. ჭყონია. პირ-იქით, ჩვენს საზოგადოებას უფრო შეჰფერის პატარ-პატარა სახალხო და საყმაწვილო წიგნების გამოცემა. გამგეობა ჰბეჭდავს ძველს წიგნებს მხოლოდ შემთხვევით, რადგან ამნაირის წიგნების გამოსაცემად შემოწირული აქვს საზოგადოებას ფული.

ანტ. ფურცელაძე. გამგეობა მოვალეა შეკრიფოს ყოველნაირი ძველის მწერლობის იშვიათი ნაშთი და თავი ერთად მოუყაროს ჩვენს წიგნთ-საცავში. მაგალითად პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის წიგნთ-საცავში არის ერთი ხელთ-ნაწერი გორგიჯანიძის ისტორიისა, რომელიც სხვაგან არსად მოიპოვება. კარგი იქნება, რომ გამგეობამ გადააწერინოს პირი და შეინახოს იგი წიგნთ-საცავში.

გ. თაყაიშვილი. გამგეობა სცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი პატარ-პატარა იაფ-ფასიანი სახალხო და საყმაწვილო წიგნები დაჰბეჭდოს. ძველს წიგნებსა ბეჭდავს ამ საგნისთვის შემოწირულის თანხით. ხოლო რაიცა შეეხება ძველის მწერლობის ნაშთების შეძენას, გამგეობა შეძლებისამებრ იძენს ამნაირს ნაშთებს და ინახავს თავისს წიგნთ-საცავში.

გ. აბაშიძე. საზოგადოებას აბარია ამდენი სხვა-და-სხვა-ნაირი თანხები და არცერთს-კი არა გხმარობთ დანიშნულებისამებრ. მაგალითად, არსებობს სალიტერატურო თანხა და ლიტერატორებს და საზღვარგარეთ მოსწავლეებს-კი არავითარს დახმარებას არ უწევს გამგეობა.

ნ. ცხვედაძე კრების თავჯდომარე. მწერლების სახელობაზედ დაარსებულს თანხებს აქვს თავისი დანიშნულება. იგი უნდა მოხმარდეს წიგნთ-საცავის აშენებას. რაც შეეხება სხვა თანხებს, ისინიც უეჭველია ამავე საგანს უნდა მოხმარდეს, რადგან თითოეული ცალკე ისე მცირეა, რომ თავის პირდაპირს დანიშნულებას ვერ დააკმაყოფილებს.

გ. ჟურული. მწერლების თანხები, როგორც უკვე გარდაწყვეტილია, უნდა მუზეუმის აშენებას მოხმარდეს. ხოლო სხვა თანხებსაც უნდა რამე ერთი დანიშნულება მიეცეს. ამიტომ საჭიროა გამოცხადებულ იქმნას გაზეთში, თუ რა დანიშნულების მიცემას აპირებს გამგეობა და თუ რამდენისამე ხნის განმავლობაში შემომწირველთაგან წინააღმდეგობა არავინ გამოაცხადა, იგი დანიშნულება შერჩეს. ვინც წინააღმდეგობას გამოაცხადებს, დაუბრუნდეს მისი შემონაწირევი.

გრ. აბაშიძე. ამავე აზრისაა.

თავმჯდომარე ნ. ცხვედაძე. ეს აგრეც იქნება, ასე რომ ამ საგნის შესახებ ლაპარაკი ეხლა მეტია.

დ. კარიჭაშვილი. გამგეობას აქვს შემოწირული ს. ქედასა და ქობულეთში საზოგადოების სკოლის დასაარსებლად რამდენიმე ფული, რომელიც საგანგებო თანხად ინახება, რადგან საზოგადოება ვერ ახერხებს ამ სოფლებში სკოლების გახსნას, ამიტომ კარგი იქნება, რომ ეს ფული მიეთვალოს საზოგადოების თავნს იმ პირობით, რომ გამგეობამ იგი მოახმაროს ქედისა და ქობულეთის მცხოვრებთა შვილების გამოსაზრდელად საზოგადოების ბათუმის სკოლაში.

კრებამ მიიღო ეს წინადადება და დაადგინა ამოირიცხოს ქედისა და ქობულეთის თანხანი საგანგებო თანხებიდგან და მიეთვალოს საზოგადოების თავნს.

ამის შემდეგ კრებამ დაამტკიცა გამგეობის ანგარიში.

წაკითხულ იქმნა სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1897 წლისათვის. შემოსავალი იყო გამოანგარიშებული 9,370 მ., გასავალი 9,395 მ.

ან. ფურცელაძე. ეს კარგი გიქმნიათ, რომ მდივნის თანაშემწისათვის ჯამაგირი მოგიმატებიათ. კარგი იქმნებოდა, რომ მდივნისათვისაც მიგემატებინათ და იმისი ჯამაგირი ას თუმნად გაგეხადნა.

გრ. აბაშიძე. მდივნის თანაშემწისათვისაც ცოტაა, რაც მოუმატნიათ. იმასაც უნდა მიემატოს ერთს თუმნამდე თვეში.

თავმჯდომარე ნ. ცხვედაძე. გთხოვთ წარმოდგენილი ანგარიში დაამტკიცოთ და გამგეობა თავის მხრით, თუ ღონისძიებამ ნება მისცა, მოუმატებს ჯამაგირს მდივანსაცა და მდივნის თანაშემწესაც.

კრებამ მიანდო გამგეობას ჯამაგირების შევსება. მდივნისთვის 1000 მანეთამდე და მის თანაშემწისათვის 420 მანეთამდე.

შემდეგ კრებას მოხსენდა თხოვნა წიგნის ვაჭარის აივაზოვის, რომელსაც ჰქონია საზოგადოების წიგნები წაღებული გასაყიდად და აღარ გადუხდია ფასი, რადგან დაბრმავებულა და ცუდად წასულა მისი საქმე. აივაზოვი სთხოვდა კრებას, რომ ეპატიებინათ მისთვის ეს ფული. კრებამ მიანდო გამგეობას აპატიოს ვალი, თუ მთხოვნელს მართლა არავითარი შეძლება არა აქვს მისის გარდახდისა.

ბოლოს წაკითხულ იქმნა სია საზოგადოების ნამდვილის წევრობის მსურველებისა. კრებამ ერთ-ხმად აირჩია ისინი წევრებად, სახელდობრ: 1, კნ. მარიამ ზაქარიას ასული ერისთავისა; 2, ლევან ანტ. ფურცელაძე; 3, ილია პავლეს ძე ნადირაძე; 4, თ. დიმიტრი გრიგოლის ძე ციციშვილი; 5, ივლიანე ქავთარაძე; 6, მღ. იროდიონ ჩეკურიშვილი; 7, პეტრე როსტომის ძე სურგულაძე; 8, ყარამან მანუჩარის ძე ჩიქოვანი და 9, ვარლამ იოსების ძე ქიქინაძე.

კრება გათავდა ღამის 10½ საათზედ.

---

## ტფილისის ახალი საბჭო.

ე. მ. აკოფოვი, მ. ზ. ავთანდილოვი, პ. ი. ალიბეგოვი, ი. მ. ალიხანოვი, ი. ს. ალიხანოვი, კ. მ. ალიხანოვი, ს. ი. ანანოვი, თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ა. ს. ბაბოვი, ე. ს. ბაბოვი, თავ. ა. ი. ბებუთოვი, ა. პ. ბილფელდი, ა. ს. ბოღდანოვ ბოღდასაროვი, ი. ს. ბუდაღოვი, ქ. თ. ბურგხარდტი, კ. ც. ბუტკევიჩი, ზ. პ. გესელოვზოროვი, მ. ნ. გესელოვზოროვი. ფ. კ. ვეტცელი, ხ. ა. ვერმიშევი, ნ. ა. გრიქუროვი, თავ. ი. მ. ჯამბაკურიან ორბელიანი, მ. ი. დოლუხანოვი, ა. ზ. ევანგულოვი, გ. გ. ევანგულოვი, გ. ს. ეგიაზაროვი, ა. ა. ივანენკო, ა. გ. ირიცპუხოვი, ა. ა. იოანნისიანი, ა. ა. ქალანთარი, ვ. გ. კანდურალოვი, ნ. ი. კარაპეტოვი, გ. მ. კალოუბანსკი, ვ. დ. ყორღანოვი, დ. ზ. ყორღანოვი, ი. ს. ყორღანოვი, გ. ა. კიუჩარიანცი, ს. დ. ლისიციანი, მ. ვ. ლუნკევიჩი, ი. ი. მალინინი, ლ. ი. მღებროვი, ი. გ. მელიქოვი, ს. გ. მელიქ ნუბაროვი, ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვი, გ. ზ. მირზოევი, ა. ი. მიტკევიჩი, ტ. ი. მულინი, ა. ი. ოდნოსუმოვი, პ. ა. ოპოჩინინი, ნ. ნ. ოსტროგორსკი, კ. ნ. პახომოვი, ა. თ. ფრიდონოვი, ნ. ს. ფრიდონოვი ი. ე. ფსაროვი, კ. ნ. რეიტერი, ი. ა. სულხანოვი, ი. ი. სერგეევი, ი. ა. თაიროვი, მ. ი. თამამშევი, ნ. ი. თამამშევი, გ. ბ. ტერ ასატუროვი, ლ. თ. ტიგრანოვი, თავ. გ. მ. თუმანოვი, თავ. ნ. ზ. თუმანოვი, ნ. ა. ხუდადოვი, ი. ი. წოვიანოვი, ა. ს. ცატუროვი, ა. ი. შახაზიზოვ-კამსარაკანი, მ. ს. შახ-პარონიანცი, ი. ა. შერშენკო, მ. ს. შუსტაკოვი, ა. პ. შიმკევიჩი, ი. ა. შადინოვი, ტ. ა. ეფიანჯიანცი, პ. მ. იაკიმოვი და გ. ზ. იარალოვი.

შენიშვნა: შავის ასოთი ამოწყობილია იმათი გვარები, ვინც ძველს საბჭოში არ იყვნენ.

---

# დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დაბა ონი** (რაჭა), 27 მაისი. ონი მთავარი ადგილია მთელს რაჭის მაზრაში. აქ იმყოფება მაზრის ყველა დაწესებულება: სამოსამართლო, საადმინისტრაციო, სამკურნალო და სხ. თუმცა ეს ასეა, მაგრამ სიდიდით და განკარგებით ონს ზოგიერთის სოფლისათვის ჯერ კიდევ ვერ გადუჭარბებია; ჯკკე იმერეთში და ქართლ-კახეთში ბევრია ისეთი სოფელი, რომელსაც სივრცით, მკვიდრთა რაოდენობითა და ცხოვრების განკარგებით ონისათვის წინ გაუსწრია. ეს გარემოება, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ რაჭა უგზოობისა გამო საქართველოს სხვა კუთხეებზედ უფრო მოწყვეტილია დედა-ქალაქებს.

აქაურს სიმპატიურს დაწესებულებას ორ-კლასიანი სასწავლებელი და უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო წარმოადგენს. ეს უკანასკნელი 1895 წელს, ბ-ნ ნიკოლოზ მრევლიშვილის თაოსნობით დააარსა აქაურმა ინტელიგენციამ. სამკითხველოში ამ ჟამად 386 ქართულ-რუსული წიგნი მოიპოვება და შემდეგი ჟურნალ-გაზეთი აქვს დაკვეთილი: „ივერია", „კვალი", „მოამბე", „ცნობის ფურც.", „მეურნე", „მწყემსი", „კავკაზი", „ნოვ. ობოზ.", „სინ ოტეჩ.", „ნივა" და „პასტ. საბეს.". წიგნთ-საცავს დიდებული შოთას და მოსეც რაფაელის სურათები ამშვენებს. ორივე ეს სურათი აქაურ ორ-კლასიან სასწავლებლის მოსწავლის ერმილე ლობჟანიძის დახატულია და ისე მშვენიერადაც, რომ ვინმე გამოჩენილ მხატვრის ნაწარმოები გეგონებათ.

სამწუხაროდ, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამკითხველო ჯერ ჯერობით მკვიდრს ნიადაგზედ იყოს დაფუძნებული. სამკითხველოს სულ 18 წევრი ჰყავს, რომელთაგან თითოეულს წლიურად 5 მან. შეაქვს. მაგრამ ცხრა თუმანი რას ეყოფა სამკითხველოს, როცა მხოლოდ სახლის ქირა ექვსი თუმანი გადის წლიურად. უშველოს ღმერთმა, ბ-ნი დავით ურუშაძე უსასყიდლოდ ასრულებს ბიბლიოთეკარის თანამდებობას, თორემ ამაშიაც რომ ფული გავიდეს, ერთობ შევიწროებული ვიქმნებით. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ახალი საქმეა ჩვენში, აქაური საზოგადოება თანაგრძნობით უცქერის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლოს მომავალში ონის წიგნთ-საცავი ისე უზრუნველ-ყოფილი იქმნება და ისეთს მკვიდრს ნიადაგს მოიპოვებს აქაც, როგორც სასურველია.

ბევრს უნდა სმენოდეს, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში ადგილ-მამულის სივიწროვე ისე არ არის, როგორც რაჭაში. სახნავ-სათესი მიწები თითქმის სრულებითაც არ არსებობს აქ; თუ სადმე ჰხვნენ და სთესენ, ეს სწორედ რომ საკვირველი საქმეა. თუ კატალონიელებზედ ამბობენ, რომ პურს ქვისაგან აკეთებენო, ეგევე რაჭველების შესახებ უფრო უნდა ითქვას. ამის გამო ჭირნახული, ერთი მეორეზედ რომ ვიანგარიშოთ, რაჭის მკვიდრთ ნახევარ წლამდე ძლივს-ძლიობით გაჰყვებათ. აქაურ მკვიდრთა უმთავრესს სახსარს მევენახეობა შეადგენს. ცოტაოდნად სავარგისი ადგილები სულ ვაზით არის გაშენებული. უთუოდ ადგილის სივიწროვეს და თან წარსულ წლების მწარე გამოცდილებასაც დიდი დაკვირვება და მუყაითობა შეუძენია აქაურ მკვიდრთათვის, როგორც საზო-

გადოდ მეურნეობის მხრივ, ისე ვენახების მოვლა-მოშენებაში. პატარა, კომწია ვენახები ისე ლამაზად, ისე კარგად არის დამუშავებული და მოვლილი, რომ მევენახეობით გათქმული ალაზნის ხეობის მენი სიზმარშიაც ვერ წარმოიდგენენ. ობისაგან (მილდიუ) ვენახის წამლობას ამ უკანასკნელ ხანებში აქაც ისე შესჩვევიან, როგორც შორაპნისა და ქუთაისის მაზრებში. წელს მაინც ერთობ ბევრი აპირებს ვენახების წამლობას, მაგრამ გუშინდლიდგან ამინდი შეიცვალა, ცოტ-ცოტათი სწვიმს და კაი თუ ხელი შეგვიშალოს ამ გარემოებამ.

ლ. ლევანიძე

## რუსეთი

შემოდგომაზედ კვლავ შეუდგება თავისს საქმეს ის კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს საქმე ქარხნებზედ მომუშავე მცირე წლოვან ყმაწვილების სწავლებისა. კომისიამ იმიტომ შეაჩერა თვისი გამოკვლევა, რომ საჭირო ცნობები შეეკრიბა იმის შესახებ, რამდენი მცირე წლოვანი ყმაწვილი მუშაობს ქარხნებში, რამდენი სკოლა აქვთ ქარხნებს, რამდენი ფული იხარჯება ამ სკოლებზედ და სხვ. მრავალი ეს ცნობა უკვე შეკრებილი და ენკენისთვემდე დანარჩენიც წარედგინება კომისიას.

— ვორონეჟის საგუბერნიო ერობა აარსებს დედათა საფერშლო სკოლას. წესდება ამ სკოლისა უკვე დამტკიცებულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ. ამ სკოლას ყოველ წლივ დასჭირდება 2,580 მან. ამ ფულიდგან 1,680 მანათს თვით ერობა ჰკისრულობს, დანარჩენი 1,680 მანათი-კი სწავლის ფულით შეივსება.

— მოსკოვის გაზეთები სწერენ, რომ ამ დღეებში ქ. მოსკოვის ერთის დიდის მაღაზიის მოსამსახურენი ასამდე კაცი მოწამლულა კვასით. კვასი გასინჯეს და მეტად მავნებელი აღმოჩენილა ადამიანისთვის. ასეთივე შემთხვევა მომხდარა ქ. ვორონეჟშიაც. გაზეთები ამბობენ, რომ საჭიროა, ამ სასმელს სანიტარებმა დიდი ყურადღება მიაქციონ, რადგანაც ზაფხულში ყველგან ძლიერ ბევრი კვასი იყიდებაო.

## უცხოეთი

**კრიტის საქმე.** გაზეთ „Times“-ს სწერენ ათინიდგან იმ პირობებს, რომელიც შარშან შეიმუშავეს დიდმა სახელმწიფოებმა. ეს პირობები შემდეგია:

კრიტის კუნძულს ექმნება თვითმართველობა.

მთავარი კრიტის კუნძულისა უეჭველად ქრისტიანი უნდა იყოს და ამასთანავე უცხოელი. მთავარის დამტკიცების უფლება სულთანს ექმნება. მთავარს უფლება მიენიჭება მოხელეთა დანიშვნისა ყველა თანამდებობაზედ მიუხედავად სარწმუნოებისა. მასვე ჩაჰბარდება უმთავრესი ჭურის გდება და ზედამხედაობა კრიტის კუნძულის ჯარისა.

კრება შესდგება ქრისტიანთა და მაჰმადიანთაგან თანხმად ამ ორის სარწმუნოების მცხოვრებთა რაოდენობისა. კრება უნდა მოხდეს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში კი უფრო ხშირად. ყოველსავე საზოგადო საქმეს კრება ხმის უმეტესობით გადასწყვეტს.

ფინანსი. გაწერილი და გაუწერელი გარდასახადი, შემოსავალი სახელმწიფო ქონებათა და ფოსტა-ტელეგრაფისა, გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც კერძო კაცებს ან უცხოელ სახელმწიფოს ეკუთვნის, სრულიად უნდა გარდაეცეს კუნძულის ხაზინას, ხოლო 5 წლის შემდეგ ოსმალეთის ხაზინას მიეცემა ყოველწლივ 100,000 მანათი.

ჯარი. ოსმალეთის ჯარი კუნძულზედ არ დარჩება. ჟანდარმების რაზმის უფროსებად იქმნებიან დანიშნულნი უცხოელი აფიცრები, რომლებიც წესიერებას დაიცავენ უცხოელ ჯარის შემწეობით, ვიდრე ეს ჯარი იქმნება კრიტის კუნძულზედ. შემდეგ-კი ადგილობრივი მილიცია დაარსდება.

ენა. რადგანაც კრიტის კუნძულის მცხოვრებნი ყველანი ბერძნულად ლაპარაკობენ, ამიტომ ეს ენა ოფიციალური იქმნება. ხოლო კანონები, დეკრეტები და ოფიციალური მოწერილობა ოსმალურ ენაზედაც დაიბეჭდება.

კრიტის კუნძულს ექმნება თავისი საკუთარი დროშა.

## დამაკვირდი

წყალში ჩავარდნილს შხაპუნა წვიმის შიში არა აქვს.

მეიდანი (არაბ.)

* * *

სიცოცხლისა და სახელის დაკარგვა მხოლოდ ერთხელ შეუძლიან ადამიანს.

**

* * *

ცუდი ფუთობით მოდის, კარგი მისხლობითა სწვეთავს.

რუსული ანდაზა

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

წელს შესრულდა 60 წელიწადი მას აქეთ, რაც ზღვაში ტელეგრაფის მავთულის გაბმა დაიწყეს და ამ ამბის გამო პროფესორმა ვ. აირტონმა მოხსენება წაიკითხა ლონდონის სამეფო ინსტიტუტში. ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ 1837 წელს, ე. ი. 60 წლის წინად ბ-ნი ვილიამ კუკი სცდილობდა ზღვაში ტელეგრაფი გაემართა, მაგრამ მისმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ამ მეცნიერზედ ადრე წყალში ტელეგრაფი გამართა რუსეთის ქვეშევრდომმა ბარონმა შილინგმა, მაგრამ მისს გამოგონებას ყურადღება არავინ მიაქცია რუსეთში. ბარონ შილინგის გამოგონებით ისარგებლეს ინგლისელებმა და გამართეს ზღვებში ტელეგრაფი. თვით ბარონს შილინგსა-კი სიღარიბეში ამოუვიდა სული. ზღვაში ტელეგრაფის გამართვის საქმემ მხოლოდ მაშინ მოიკიდა მაგრად ფეხი, როდესაც შემოიღეს ეგრედ წოდებულ გუტაპერჩისა ანუ რეზინის მილის გაკეთება. 1848 წელს სიმენსისა და გალსკეს ქარხანამ გამართეს პირველი ტელეგრაფი კილის ნავთ-სადგურში. ამავე დროს ტელეგრაფი გაჰმართა ჰუდზონის ყურეში ბ-ნმა არმსტროვმა.

16 ივნისს, 1845 წელს იაკობმა ბრეტმა და მისმა ძმამ ჯონმა დააარსეს საზოგადოება, რომელსაც საგნადა ჰქონდა გაემართა ტელეგრაფი ბრიტანიის კუნძულთა შორის და აგრედვე ინგლისსა და ამერიკის შუა, მაგრამ ამათი პროექტი მთავრობამ არ შეიწყნარა. ორი წლის შემდეგ ისევ ამ ორმა ძმამ მთავრობასა სთხოვეს, ნება მოგვეცით ტელეგრაფი გავმართოთ დუვრსა და კალეს შორის. 10 აგვისტოს, 1849 წელს მოუვიდათ ამის ნებართვა, ხელმოწერილი ლუი ნაპოლეონის ბონაპარტის მიერ. მოამზადეს 25 მილის სიგრძე მავთული, გუტაპერჩში გახვეული, ანუ როგორც ეხლა ეძახიან, კაბელი, ჩაუშვეს ზღვაში, მაგრამ კლდეს მოედო და გაწყდა. 1850 წელს 19 დეკემბერს საფრანგეთის მთავრობამ ზღვაში ტელეგრაფის გამართვის უფლება მისცა ძმებს ბრეტტებს, ამათ დაეხმარნენ ფულის პატრონები და შეუდგნენ საქმეს. ტელეგრაფის კაბელი დაუდეს გემს და ზღვაში ჩაუშვეს, მაგრამ ერთის მილის სიგრძე დააკლდათ და ეს ამბავი გემიდგანვე ტელეგრაფით შეატყობინეს ხმელეთზედ. ეს ამბავი მოხდა 1851 წელს 15 ნოემბერს. მას აქეთ ტელეგრაფის გამართვის საქმე ძლიერ გაადვილდა.

ერთი წლის შემდეგ ძმებმა ბრეტტებმა გამართეს ტელეგრაფი ინგლისსა და ირლანდიის შუა, მაგრამ კაბელი მაინც ორჯელ გაფუჭდა. ბოლოს როგორც იყო, მკვიდრი ტელეგრაფი გამართა ინჟენერმა ჩარლზ ბრაიტმა.

1857 წელი სწორედ რომ შესანიშნავი წელია ტელეგრაფის ისტორიაში. ამ წელს დაიწყეს ტელეგრაფის გამართვა ამერიკასა და ევროპას შუა. გააკეთეს ტელეგრაფის კაბელი, 2600 მილის სიგრძე და დააწყეს ორს გემზედ—ერთი ამერიკიდგან წამოვიდა და მეორე ევროპიდგან წავიდა. ოთხის მილის სიგრძე კაბელი რომ ჩაუშვეს ზღვაში, კაბელი გაწყდა. ხელ-მეორედ შეუდგნენ საქმეს და ჩაუშვეს ზღვაში. 226 მილის სიგრძე კაბელი და კიდევ გაწყდა. ამით გათავდა საქმე ამ წელს. 1858 წელს ისევ დაიწყეს ეს საქმე და როგორც იყო ამერიკისა და ევროპას შუა ტელეგრაფი გაიმართა. უნდა მოვიხსენიოთ, რომ ეხლაც ორჯერ გაწყდა კაბელი დი მხოლოდ მესამედ როგორც იყო გაიმართა ტელეგრაფი. 5 მარიამობისთვეს 1858 წელს პირველად გაგზავნილ იქმნა დეპეშა ინგლისიდგან ამერიკაში. ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ გაუგზავნა პირველი დეპეშა ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს და მისწერა, იმედი მაქვს, რომ ეს ტელეგრაფი ჩვენს მეგობრობას განაძლიერებსო. პრეზიდენტმა უპასუხა: „დიე, ეს ტელეგრაფი ნიშანი იყოს ჩვენის სამუდამო კავშირისა და ერთგულ მეგობრობისაო“. შემდეგ კიდევ რამდენიმე დეპეშა გაიგზავნა ევროპიდგან ამერიკაში ამერიკიდგან ევროპაში, მაგრამ ტელეგრაფს თან და თან სუსტად გადაჰქონდა დეპეშა და მერე სრულიად გაფუჭდა.

ფულმა და შრომამ მაინც ამაოდ არ ჩაიარა და 1866 წელს გაიმართა ტელეგრაფი ამერიკასა და ევროპას შუა. ეს ტელეგრაფი ეხლაც მუშაობს.

«ეს არის წარსული ისტორია ტელეგრაფისაო, სთქვა დასასრულ ბ-მა აირტონმა. რა იქნება შემდეგში, ძნელია ამის თქმა. ეჭვი არ არის, რომ ისეთი დრო დადგება, როდესაც ეხლანდელ ტელეგრაფის ნიმუშები მხოლოდ მუზეიში-ღა თუ იქმნება შენახული და მეცნიერება ისეთს საშვალებას გამოიგონებს, რომ სულ ადვილად შეიძლება ევროპისა და ამერიკის შუა ლაპარაკი უმავთულოდ“

### სასამართლოს მატიანე

ქ. გორში ტერ-აკოფოვის ქალის მოტაცების საქმე.

3 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე თავ. გ. ამილახვარისა, თავ. დ. ერისთავისა, აზნ. ნ. გარსევანიშვილისა და გლეხის ხოტა ღვინიაშვილისა, რომელთაც ქ. გორში ტერ-აკოფოვის ქალის მოტაცება ჰბრალდებოდათ. საქმის გარჩევა იქმნა გარეშე ხალხის დაუსწრებლად. ოლქის სასამართლომ დამნაშავეთ მიუსაჯა: თავ. გ. ამილახვარს 3 თვით დაპატიმრება, გარსევანიშვილს—2 თვით, ღვინიაშვილს—10 დღით, ხოლო თავ. დ. ერისთავი სრულიად გაამართლა. ბრალმდებელის თანაშემწე ამ გარდაწყვეტილებას არ დაეთანხმდა და საქმე სამოსამართლო პალატაში გადაიტანა.

სამოსამართლო პალატამ ოთხივე ბრალდებულნი დამნაშავედა სცნო და, მიიღო რა მხედველობაში ორი უმოწყალესი მანიფესტი, მიუსაჯა: თავ. გ. ამილახვარს ყოველგვარის უფლება და უპირატესობათა ჩამორთმევა და საცხოვრებლად ასტრახნის გუბერნიაში გაგზავნა, სადაც გუბერნიის სხ. და სხ. ადგილებში გადასვლა შეეძლება მხოლოდ წლისა და 4 თვის შემდეგ, ხოლო ევროპის რუსეთში 10 წლის შემდეგ, გარდა სატახტო ქალაქებისა, რომლებშიაც ცხოვრება სრულიად აღეკრძალება; თავ. დ. ერისთავსაც ასეთივე სასჯელი გარდაუწყვიტა პალატამ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვადა გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებში გადასვლის აღკრძალვისა 4 თვით შეუმცირა; აზნ. გარსევანიშვილს—ერთის თვითა და 10 დღით დაპატიმრება, ხოლო გლეხს ღვინიაშვილ—2 თვითა და 20 დღით.

### შემოწირულება

„ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ ლატარია-ალეგრის სასარგებლოდ შემოსწირა ერთი თუმანი ბ-ნმა ბესარიონ ლოსაბერიძემ.

—

ქ. ირკუტსკიდგან ჩვენ მივიღეთ 29 მან., შეკრებილი იქ ბ-ნ დავით დიმიტრის ძის ახმადოვისაგან. შემკრებელი გვწერს, სხვათა შორის, რომ გაზ. „Правит. Вѣст.“-დგან შევიტყე: „ჩვენის სამშობლო საქართველოს სატახტო ტაძარი მცხეთაში, ის ტაძარი, რომელშიაც დაკრძალულია საქართველოს მეფეთა გვამნი და სადაც გვირგვინს იკურთხებდნენ ხოლმე ქართველნი მეფენი, დღეს ისე დაძველებულა, რომ წვიმაც-კი ჩადის თურმე,—ამიტომ შევკრიბე ეს ფული და ვგზავნიო“. სიამოვნებით აღვნიშნავთ-რა ამ ამბავს, ფულს დანიშნულებისამებრ გადავცემთ და აქვე მოგვყავს შემომწირველთა სიაც: დათიკო ახმადოვმა—5 მ., ვანო რჩეულიშვილმა—2 მან., ვასილი სირუნოვმა—3 მ., ყარამან გრიგოლის ძე ტუსკიამ—1 მ., სოლიკო რევაზოვმა—2 მ., ნიკოლოოზ სოლომონის ძე ონანაშვილმა—1 მ., სამსონ ბეჟანის ძე ნაჭყეპიამ—1 მ., ფარნა კარტოზიამ—1 მ., ევგენი შათირიშვილმა—50 კაპ., ლევან ჩიქოვანმა—1 მ., ნიკოლოოზ თავდიშვილმა—1 მან., ევგენი გიგოს ძე კობახიძემ—1 მ., ილიკო ლუკას ძე სარალიძემ—1 მ., არშაკ ხარაზოვმა—1 მ., არტემ სარქისოვმა—50 კ., კოტე ბახუტაშვილმა—1 მ., სტეფანე საკოვმა—5 მან., არტემ თამამშოვმა—1 მ., სულ 29 მან.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 ივნისი

**ლონდონი.** „ტაიმსს“ ატყობინებენ დეპეშებით ნიუ-იორკიდგან, რომ რესპუბლიკელ სენატორთა კრების გამო ხმა გავრცელდა, მაკ-კინლეის განზრახვა აქვს სანდვიჩის კუნძულები ამერიკას შეუერთოსო.

**ბუდაპეშტი.** პანჩოვიდგან იუწყებიან, რომ მდინარე დუნაიმ ნაპირებზედ გაყვანილი ოფო გაგლიჯა, წალეკა 30,000 იოხი (საზომია ავსტრიაში) ნათესი მიწა, აგრეთვე დაბა ივანოვა და ოვჩა და მთელი მიდამო ზებლინისა და პანჩოვას შუაო. თითონ პანჩოვა გადარჩა დაზარალებას.

4 ივნისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ავადმყოფობის ბიულეტენი: მთელი ღამე მის უდიდებულესობას ღრმად ეძინა; ტემპერატურა და მაჯა ნორმალურია; თვით გრძნობიერება კარგია.

დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასული აგრეთვე ჯან-საღად არის.

ხელმწიფე იმპერატორმა აბისინიაში ავადმყოფთა და დაჭრილთა ჯარისკაცების ექიმობის დროს განსაკუთრებულის გარჯილობისა გამო, უბოძა სამხედრო აკადემიის სტუდენტებს—კონსტანტინე კრეჩუნსკოს, პავლე გილლერს, პეტრე შუსევს და გიორგი თეოდოროვს—წმ. სტანისლავის მე 3 ხარისხის ორდენის კავალერობა.

უმაღლესის ბრძანებით ებოძათ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის და იმის განსაკუთრებულ განყოფილების თავად-აზნაურთ—მსესხებელთ ხსენებული ბანკის წინაშე ვალდებულების შესრულების შემსუბუქება. სხვათა შორის, 1897 წლის 1 მაისიდგან ყველა გაცემულის სესხის, რომელიც შთამომავლობით თავად-აზნაურთა მამულებზე ითვლება, ზრდის პროცენტი, ამავე წლის მაისის ვადიდგან, დაკლებულ იქმნება წელიწადში 4-დგან $3^1/_2$-მდე.

**კალკუტა.** მადრასის ჩრდილოეთით მდებარე ყველა ქალაქებიდგან იუწყებიან იმ ზარალის შესახებ, რომელიც 12 ივნისს მიწის ძვრამ მიაყენა. საშინელმა წვიმამ გააორკეცა ზარალი. დიდი ბანკეტი, რომელიც დედოფალის ვიქტორიას იუბილეის გამო უნდა მომხდარიყო, გადაიდო, რადგანაც ბევრი ხალხის ერთს შენობაში შექუჩება საშიშოა. ათასი უსახლკაროდ დარჩენილი ევროპიელი და მკვიდრი მცხოვრებელი, გარეთ ატარებს დღე-ღამეს.

**კონსტანტინეპოლი.** წყალ-დიდობა. ჯერ არ შეჩერებულა. მუსტაფა-ფაშა, ადრიჩი, ანოპოლი წალეკილია. რკინის გზის მიმოსვლა სხვა სახელმწიფოებთან შეწყვეტილია. მინდვრები ყველგან ძრიელ დაშავებულია.

პორტამ მისწერა ქალაქ ფილოს ოსმალეთის გუბერნატორს, რომ მან გააუქმოს თვისის ნებით გაცემული განკარგულება გადასახლებულის თესალიელების მამულების კონფისკაციის შესახებ.

ხუთშაბათს მოხდება მე 4 სხდომა, რომელზედაც ოსმალეთს და საბერძნეთს შორის ზავის შესახებ მოლაპარაკება ექმნებათ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 4 го Юнія 1897 г. — სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.